გოჩა ნანიტაშვილი

საწარმოო კლასტერები, როგორც რეგიონის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების საფუძველი

გოჩა ნანიტაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში ფანხილულია და გაანალიზებული კლასტერების, როგორც რეგიონის განვითარების ძირითადი მექანიზმის, პერსპექტივები. წარმოდგენილი შედეგები შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული რეგიონის თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული განვითარება, ინოვაციები, კლასტერები.

რეგიონული განვითრება თითქმის ყოველთვის წარმოადგენს სხვადასხვა კომპრომისის, წინააღმდეგობებისა და დანახარჯების შედეგს. საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომაც მისი რეგიონებიცა და რეგიონული პოტენციალიც კომპაქტურია, ანუ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია „უსაფრთხოების ბალიშები“ მდიდარი სარესურსო პოტენციალის სახით, როგორც ეს გიგანტურ ქვეყნებში (აშშ, რუსეთი, კანადა, ჩინეთი, ბრაზილია, ყაზახეთი და სხვა) ხდება. შესაბამისად, ასეთი რეგიონების მართვაც ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული, მეტ მოქნილობასა და კომპეტენტურობას, მეტ რაციონალურობასა და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. თუკი დიდი ქვეყნების რეგიონებს აქვთ ფუფუნება, ნელი განვითარების უფლება მისცენ საკუთარ თავს, ჩვენ ამის ფიზიკური საშუალება არ გაგვაჩნია. ნებისმიერი რყევები, რომლებიც ეკონომიკაში ხდება, ოპერატიულად აისახება ისეთი პატარა და ღატაკი ქვეყნის ბაზარზე, როგორიც საქართველოა. ამავე დროს პატარა რეგიონებსაც შეიძლება გააჩნდეს თავისი ობიექტური და სუბიექტური უპირატესობანი. თუკი დღეს ისინი მდიდარი დონორების იმედად არინ, ხვალ მათი ინტელექტუალურმა პოტენციალმა შეიძლება არნახული წინსვლა მოგვიტანოს. თუკი საქართველო მოახერხებს თავისი ეკონომიკის შიდა ტერიტორიული სტრუქტურის გარდაქმნას, ქვეყანა აქტიურად ჩაებმება შრომის შიდა და გარე დანაწილებაში.

სისუსტეებთან და შემდგომი ფუნქციონირებისა და განვითარების რისკებთნ ერთად, საქართველოს ნამდვილად გააჩნია ამის გარკვეული შესაძლებლობანი, კერძოდ:

ძლიერი მხარეები:

- ხელსაყრელი ადგილმდებარეობა;
- სწრაფად მზარდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- შესანიშნავი ბუნებრ-კლიმატური პირობები;
- ისტორიული განვითარების საკრალურობა და ბევრი ისტორიული ობიექტის არსებობა.

შესაძლებლობანი:

- ეკონომიკაში კლასტერების შექმნისადმი სწრაფვა (ტურიზმი, მშენებლობა, სამთო მომპოვებლური, აგრო, სხვა);
- სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება რეგიონის სხვა ქვეყნებთან;
- ინვესტიციების მოზიდვა დასავლეთი და აღმოსავლეთის ქვეყნებიდან;
- მუნიციპალური წარმონაქმნების პოზიციონირება ტურისტული თვალსაზრისით;

სისუსტეები:

- ეკონომიკური სივრცის პოლარიზაცია და ადამიანური საქმიანობის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ლოკალიზება, აგლომერაციული ეფექტით;
- შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია სხვა, მეტად განვითარებულ ქვეყნებში;
- დაძველებული საწარმოო ფონდები;
- მრეწველობის საბჭოური სტრუქტურა;
- შრომის დაბალი მწარმოებლურობა;
- მოსახლეობის დაბერება (დეპოპულაცია, შრომისუნარიანი ასაკის მქოენ მოსახლეობის შემცირება).

არსებული და პერსპექტიული საფრთხეები:

- სხვა რეგიონებისა და ქვეყნების მიერ წარმოებული საქონლის მხრიდან კონკურენციის შემდგომი ზრდა;
- სოციალურ სფეროში კონკურენციის დაცემა;
- ბიუროკრატიზაცია და გადაწყვეტილებათა ნელი მიღება;
- პოტენციური ეკოლოგიური საფრთხეები;
- კრიმინოგენური ვითარების ზრდა;
- კანონების დაცვის დაბალი კულტურა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის საგადასახადო, კორუფციული და ადმინისტრაციული პრესინგი;
- აზროვნების ინერციულობა და ეკონომიკური საქმიანობისადმი სტიმულების არარსებობა მოსახლეობაში.

ცალკეული ტერიტორიების ინოვაციურობის ფორმირებაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს კლასტერული სტრუქტურები, რომელიც იქმნება საწარმოთა, საგანმანათლებლო და საფინანსო-საბანკო დაწესებულებათა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი სტრუქტურები კარგა ხანია ფუნქციონირებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. არსობრივად კლასტერი რეგიონული ეკონომიკის განვითარების დარგობრივ დრაივერს წარმოადგენს.

უცხოელი (მ. პორტერის, დ. ჰააგის, სხვა) და ქართველი (ე. ბარათაშვილი, მ. ჩეჩელაშვილი, თ. აბრალავა, ნ. გრძელიშვილი, სხვა) მეცნიერების ნაშრომებში მკაფიოდ არის განსაზღვრული საქართველოში კლასტერების შექმნისა და ფუნქციონირების, კლასტერული მოდელების გამოყენების პირობები, თეორიული საფუძვლები, დადებითი და უარყოფითი მხარეები. კლასტერიზაციის უცხოური გამოცდილების იმპლემენტაცია კარგ შედეგს მოიტანს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისთვის და სწორედ ეს ამოცანაა დღეს შესასრულებელი პირველ რიგში ხელისუფლების როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ორგანოების მიერ.

თუ შევაჯამებთ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ მოცემულ განმარტებებს, მივიღებთ კლასტერის შემდეგ ზოგად შინაარსს: კლასტერი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ, გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებულ კომპანიების, საქონლისა და მომსახურების სპაციალიზებული მიმწოდებლების, საგანმანათლებლო, ფინანსურ-საბანკო დაწესებულებათა და დარგობრივ ფირმათა დაჯგუფებას, რომლებიც საქმიანობის გარკვეულ სფეროში განიხილებიან, როგორც კონკურენტები, მაგრამ ამავდროულად წარმოადგენენ თანამშრომლებს.

როგორც ვხედავთ, ეს გაერთიანებული დეფინიცია მოიცავს ისეთ საკვანძო სიტყვებს, როგორებიცაა: გაერთიანება, თანამშრომლობა, კონკურენცია, სპეციალიზაცია, გეოგრაფიული კონცენტრაცია, საწარმოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამდენად საფუძველი გვაქვს, დავასკვნათ, რომ კლასტერინგის იდეის მთავარ კონცეფციას წარმოადგენს კოოპერაციული კავშირების შექმნა სტეიკჰოლდერთა ამ დაჯგუფების წევრებს შორის.

როგორც წესი, გამოყოფენ ფუნქციურ კლასტერთა სამ სახეობას:

- რეგიონული (ტერიტორიული) ჯგუფები ერთი საწარმოო ან ორი მონათესავე კლასტერის შიგნით, რომელიც მიბმულია სამეცნიერო სკოლას (სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, უნივერსიტეტს, დარგობრივ სამეცნიერო ლაბორატორიას და სხვა);
- ვერტიკალური საწარმოო ჯაჭვები, რომლებშიც საკმაოდ ვიწროდ სპეციალიზებული სექტორებია გაერთიანებული, რომლებშიც წარმოების ჯაჭვის საერთო რგოლებში წარმოქმნიან კლასტერის ბირთვს. ამავე კატეგორიაში მოვიაზრებთ სათაო ფირმების ირგვლივ ჩამოყალიბებულ ქსელს;
- დიდი მასშტაბის მქონე სამრეწველო გაერთიანებები, რომლებიც განეკუთნებიან ერთ დარგს (მაგალითად, ქიმიური კლასტერი, აგრისამრეწველო კლასტერი და სხვა).

დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იქმნება გეოგრაფიულად კონცენტრირებული და უერთიერთკავშირში მყოფი კომპანიების გაერთიანებები, რომლებიც საფინანსო-საკრედიტო და სამეცნიერო დაწესებულებებთან გაერთიანების შედეგად შექმნიან კლასტერს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურით (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები, ტექნოპარკე-

ბი, ბიზნეს-ინკუბატორები, საქონლისა და მომსახურების სპეციალიზებული მიმწოდებლები, მწარმოებლები და სხვა ორგანიზაციები).

საქართველოს ტერიტორიაზე კლასტერების ჩამოყალიბებამ და განვითარებამ მომავალში შეიძლება უზრუნველყოს:

- დარგობრივი სტრუქტურის დივერსიფიკაცია;
- რეგიონების ეკონომიკის მასშტაბის ეფექტით გამოწვეული ზრდა და განვითარება;
- რეგიონების ეკონომიკათა მაღალი კონკურენტუნარიანობა;
- ინოვაციური აქტივობების სტიმულირება როგორც ძირითად, ასევე მონათესავე დარგებში,
- შრომის ბაზარზე სოციალური დაძაბულობის ნიველირება;
- რეგიონების ფინანსური დამოუკიდებლობის სრდა და ხენტრალურ დოტაციებზე დამოკიდებულების კლება.

მაგრამ ამავდროულად კლასტერების საქართველოში განვითარებას აქვს თავისი ნაკლოვანი მხარეებიც, ისინი დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დასახული მიზნების რეალიზაციას. კერძოდ:

- **ინფრასტრუქტურურლი რისკები,** ანუ მეცნიერებისა და ბიზნესის კოოპერირების ახლადშექმნილ სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ნაკლებობა;
- **ტექნოგენური და ეკოლოგიური რისკები:**
  - იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადი ფონდების ცვეთის ხარისხი დაახლოებით 60%-ს შეადგენს, დიდია ტექნოგენური ბუნების ავარიების წარმოქმნისა და გარემოსათვის ზიანის მიყენების საშიშროება;
  - სამეცნიერო კვლევების დაფინანსების არასაკმარისი რაოდენობა;
  - არასაკმარისი დაფინანსების პირობებში სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიების განვითარება შეფერხებით მიმდინარეობს. შესაბამისად, ბაზარზე წარმოიქმნება ახალი მაღალტენოლოგიური პროდუქციის დეფიციტი, რომელიც იმპორტირებულით ჩანაცვლდება;
- საკანონმდებლო რიკები. საკანონმდებლო სფეროს არასრულყოფილება აფერხებს მეწარმე სტრუქტურების უნარს, მოახდინონ დროული და ეფექტიანი რეაგირება ბაზრის პირობების ცვლილებაზე მოსალოდნელი პერსპექტივების გათვალისწინებით;
- საკადრო რისკები. ამოცანების გადაჭრა საჭიოებს მაღალი კვალიფიკაციიე მქონე კადრების მოზიდვას, ანდა აღსებული სპეციალისტების გადამზადებად. ამ ამოცანების არასაკმარისად ეფექტიანი გადაწყვეტა არღვევს ინოვაციური ტიპის ეკონომიკის შექმნის ძალისხმევებს კლასტერული მიდგომის გამოყენებით;
- მაკროეკონომიკური რისკები. ეკონომიკის ზრდისა და საინვესტიციო აქტივობის ტემპის შენელება, ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი, ანდა პირიქით, ზედმეტად გამყარებული მაჩვენებელი, საგარეო და შიდა ფასების კონიუნქტურის გაუარესება სამრეწველო პროდუქციაზე და ნედლეულზე, - ყოველივე ამას პერმანენტული ხასიათი ექნება 2020 წლამდე.

ამდენად, სამეურნეო კომპლექსის მოდერნიზაციისადმი კლასტერული მიდგომის რეალიზება გაამაგრებს რეგიონების ეკონომიკურ პოზიციებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Porter, Michael E. "Clusters and the New Economics of Competition." November-December 1998.
2. Enright M. Regional Clusters: What we know and what we should know, paper presented for the Kiel Institute International Workshop, November 12–13, 2011
3. Feser, E.J. Old and New Theories of Industry Clusters, in Steiner, M. Clusters and Regional Specialization: On Geography, Technology and Networks. London: Pion Freeman C., Perez C. Structural Crises of Adjustment: Business Cycles and Investment Behaviour//Tech. Change and Econ.Theory/Edited by Dosi G.: 2018;
4. Feser, E.J. Old and New Theories of Industry Clusters, in Steiner, M. Clusters and Regional Specialization: On Geography, Technology and Networks. London: Pion Freeman C., Perez C. Structural Crises of Adjustment: Business Cycles and Investment Behaviour//Tech. Change and Econ.Theory/Edited by Dosi G.: 2018;
5. Bergman E.M., Feser E.J. 2000. National industry cluster emplates: a framework for applied regional cluster analysis// Regional studies. 34(1). pp1-19
6. Pechlaner, H.A., Smeral, E.B. and Matzler, K.C., 2002. "Customer Value Management as a determinant of the competitive Position", Vol. 57, No 4.

Industrial Clusters as a Basis of Innovative Development of the Regional Economics

Gocha Nanitashvili

The Doctoral Student of Georgian Technical University

Summary

In the article there are considered and analyzed prospects of clusters' development, as one of innovative mechanism of economy development of the region. The presented results can be taken into account at defining directions of modern social and economic development of the region.

Keywords: regional development, innovations, clusters.